**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის**

**ოქმი № 2**

ქ. თერჯოლა 13 თებერვალი 2023 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალ ისაკაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. მერაბი ბასილაძე, 3. ივანე ჩუბინიძე.

**კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8**
**კვორუმი: 6 წევრი**

**დღის წესრიგი:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2823039112, 08.03.2023 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიცპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N გ-29.29221871 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282304066, 09.02.2023 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0**

**დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.**

1.

**მოისმინეს:**მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 დეკემბრის N2461 განაკრგულების საფუძველზე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამ"-ის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წ 23 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიცპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N გ-29.29221871 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რაც გამოწვეულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტის დამატებით:

1. **ქ. თერჯოლაში, კოსტავას ქ. N4-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია.**

აღნიშნული შენობა ექსპლოატაციის მიზნით გადაცემულია ააიპ „სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება, თერჯოლის მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრისათვის". შენობის შიდა ინტერიერი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია და სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 255000 ლარს.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიცპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N გ-29.29221871 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე